№ 28 | 1877—1898 | № 28

შაბათი, 7 თებერვალი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 8 | 8 — | 3 | 3 50 |
| 9 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შაბათი, 7 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

კვირას, 8 თებერვალს,

ბენეფისი

რეჟისორის კ. ს. მესხისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან ქ-ნ ე. ს. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

═ პირველად ═

### ა. კაზაიან

დრამა 5 მოქმ. გადმოკ. სუმბათოვის დრამიდგან მობენეფისეს-მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარეული, გარელისა, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კარბელი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი.

---

დოქტორი მედიცინისა

### ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა**, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.

(10—23—5)

---

ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან

14 თებერვალს, 1898 წ. დანიშნულია

### საზოგადო კრება

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.
2. არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენლისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

(3—6.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პრაპორშჩიკობა—მისის უდიდებულესობის სახელობის მე-13 ლეიბ-გრენადერთა ერევნის რაზმის უნტერ-აფიცერს მჭედლიშვილს.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 7 თებერვალს, დილის 9 საათზედ, მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ გაემგზავრება პეტერბურგს. მთავარ-მართებელს თან მიჰყავს თავისის კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი, საქმის მწარმოებელი ბ-ნი სლოვინსკი, როტმისტრი სვეჩინი და საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. კურაკინი.

*** 5 თებერვალს, ხუთშაბათს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ შათირიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა შილერის „ავაზაკები“. წარმოდგენას სულ ოციოდე კაცი არ დაესწრო. თვით მობენეფისე კარლოს მოორის როლსა თამაშობდა და დრამატიულს ადგილებში ძალიან სუსტობდა. ბ-ნმა კოტე მესხმა გვარიანად ჩაატარა ფრანც მოორის როლი. შემდეგი წარმოდგენა იქნება ხვალ, კვირას, 8 თებერვალს, კ. მესხის საბენეფისოდ დ ითამაშებენ ახალს პიესას „ა. კაზაიანი“, ხუთ-მოქმედებიანს დრამას.

*** ტფილისის გუბერნატორმა მიანდო ტფილისის საგუბერნიო გამგეობის მშენებელ განყოფილებას შეიმუშაოს პროექტი მდ. მტკვრის ნაპირების გამაგრებისა.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი გაჰგზავნა ბათუმში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად.

*** შაბათს, 7 თებერვალს, საღამოს 7½ საათზედ, კავკასიის საბრეშუმო სადგურში გამართულ იქმნება მესამე საუბარი ფუტკრის კვებისა და ფუტკართაგან თაფლის ქურდობის შესახებ. საუბრის დროს დამსწრეთ უჩვენებენ ვარშავის საფუტკრე მუზეუმიდგანა და ვიატსკის შინა მრეწველთა მიერ გამოგზავნილს სხვა-და-სხვა გვარ საგნებს.

*** კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექტორმა იღუმენმა მ. კირიონმა მართმადიდებელს ეკკლესიას შემოუერთა სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების ტფილისის მოქალაქე პეტრე ივანეს ძე მანუჩაროვი.

*** ოლქის საბებიო ინსტიტუტის ექიმ-ბებიის თანამდებობაზედ კანდიდატად ახლად გადაცვალებულის კრუზენშტერნის მაგიერ ექიმ-ბებიას მ. ზ. ქანანოვს ასახელებენ.

*** როგორც უცხო ქვეყნის ჟურნალები იუწყებიან, ბ-ნ დიუბუას ფილოქსერის გამანადგურებელი ბაქტერია აღმოუჩენია. საფრანგეთის მთავრობას ამ აღმოჩენისათვის დიუბუა 300,000 ფრანკით დაუსაჩუქრებია.

*** ზუგდიდიდგან სწერენ გაზ. „Юрид. Газ.“ არ იქმნება ურიგო ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს იმ ამბავს, რომ ადგილობრივი მომრიგებელი-სასამართლო და ერთად-ერთი სასამართლოს ბოქაული ვერ ასწრობენ თავიანთ მოვალეობის თავისს დროზედ აღსრულებას, რადგან თითქმის მუდამ თვე მოდის ხოლმე აქ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია და მომრიგებელ-მოსამართლეს იწვევს საქმეების გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად და ბოქაულს კიდევ წესიერების დასაცველადაო. მიართმევ თხოვნას მომრიგებელ-მოსამართლეს და სთხოვ საქმის მალე გარჩევას, მაგრამ მოსამართლე გეუბნება, რომ ჯერ ვერ გავარჩევ შენს საქმეს, რადგან ოლქის სასამართლოს სხდომაში უნდა მივიღო მონაწილეობაო. სთხოვ ბოქაულს და ისიც ამგვარისავე პასუხით გისტუმრებს და ამნაირად გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნული მთელის ზუგდიდის მაზრის მცხოვრებლებიო.

*** გაზეთი „კავკასი“ სწერს: „ჩვენ გთხოვენ ყურადღება მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს, იმ მუქთად მოსიარულე ვაჟბატონებზედ, რომელიც ყოველდღე ქალაქის თვით-მმართველობის სახლის წინ ატუზულან და თავიანთ დახმარებას ჰპირდებიან ყველა იმ უვიცს, ვისაც ქალაქის თვით-მართველობაში რაიმე საქმე აქვს. ამასთან ეს „აბლაკატები“ მუდამ იმას გაიძახიან, რომ ჩვენ ნაცნობები, ნათესავები გვყავს ქალაქის გამგეობაში და ამის წყალობით ყველა საქმეს აღვასრულებთო. ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია ამ მაწანწალათა სიტყვა, რომ ყოველი ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია ხოლმეო, მხოლოდ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ღარიბსა და უვიცს ხალხს ატყუებენ და სძარცვავენო.

*** გორიდგან სწერენ გაზეთ „კავკასს“, რომ 2 თებერვალს გორის ქალაქის წარმომადგენელთ კრება ჰქონდათ, რომელზედაც მოისმინეს ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლიან ქ. გორს ფულით შემწეობა აღმოუჩინოს მთავრობას ფშანისა დ ლიახვის ნაპირების გამაგრების საქმეში. კრებამ საჭიროდ და დიდად სასარგებლოდ სცნო ამ მდინარეების ნაპირების გამაგრება ქ. გორისათვის. ამასთანავე გამოირკვა, რომ უფულობის გამო გორს ამ საქმეში ცოტა რითიმე შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას. კრებამ დაადგინა სთხოვოს გუბერნატორს, რომ მდინარეთა ნაპირები მთავრობის ხარჯით იქმნას გამაგრებული, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა ქ. გორს შეუძლიან ამ საქმისათვის გადასდოს მხოლოდ 10,000 მან. იმ პირობით, რომ ეს ფული 20 წლის განმავლობაში გადიხადოსო.

*** გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „გაზეთები იუწყებიან, რომ სავაჭრო დ სამანუფაქტურო დეპარტამენტის სამოსწავლო განყოფილებამ შეიმუშავა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდების პროექტიო“.

*** გუშინ-წინ, 5 თებერვალს, ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა გამგეობის სადგომში მიწვეულ ტფილისის მეყასბეებს, რომ ამიერიდგან ყველა იმ საქონლის ხორცს,

---

## ფელეტონი

### დ ღ ე ო ბ ა

(მოთხრობა)

II*)

ქიზიყის სოფლის ხალხი ქიზიყის ხალხისავე მდიდრად-მეტყველის, თავისუფალის და ბატონ-ყმობას არასოდეს არ-ჩვეულის ენით სამს წრედ იყოფება: თავი-კაცი, შუა-კაცი და ბოლო-კაცი, ანუ: მდიდარი, შეძლე და ღარიბი. სიღნაღის მაზრა-ქიზიყში ბატონყმობა არა ყოფილა და ხალხის უბატონო თავისუფლებას უნდა მივაწეროთ ის, რომ ქიზიყის ხალხი საქართველოს ყველა კუთხის ხალხთან შედარებით უფრო მეტად თამამია, ლაღია, შეუპოვარი კადნიერია, ვაჟკაცურის გაბედულობით აღსავსეა და საგულისხმო მჭევრმეტყველია; ამასვე ამბობს უწინდელს ქიზიყელებზედაც ისტორია საქართველოსი.

სოსიაც იმ ღარიბ ხელ მოკლეთაგანი იყო, რომელნიც შეადგენენ კახეთ-ქიზიყის თითოეულ სოფლის უმრავლესობას. სოსიას ქოხის შინაგან-გარეგნობაც განაჭერ ვაშლივით წაჰგავდა მოძმეების ოჯახებს, და ამისათვის ნება მიბოძეთ, მოკლედ აგიწეროთ მისის ოჯახის ავლა-დიდება ღარიბ გლეხ-კაცთა ყოფა-მდგომარეობის უფრო ცხადად გასათვალწინებლად.

ბზე-ნარევ ნეხვ-ტალახით შინ და გარეთ გალესილ წნურის ქოხს დართული ჩალა ეხურა. უკანა კედელს ფიცრის თარო ჰქონდა მიდგმული და ზედ ეწყო პირქვე-დამხობილი თიხის ჯამები, ხელადა-ქოქლები, ბოთლები, სტაქნები, საწვნე-კოვზები, ხის სამარილე, ქილები, ხონჩა და პატარა ყურიანი ქვაბი. თაროს მარჯვნივ იდგა პურის კიდობანი და იქვე ეყუდა ვარცლი, კეცები და საპურისწყლე ქვაბი. თაროს მარცხნივ სკამ-ბაქანზე ელაგა ორი ხელი ხამ-ლაინის დაბრანძული ქვეშაგები და ზევიდამ დაგლეჯილი, ჭრელ-ზოლა ჯეჯიმი ეფარა. ქოხის გვერდის კედლის ძირას იდგა ერთი დანჯღრეული სკივრი, ყუთი, ჯარა, საჩეჩელი და ქოხის ორსავ მხარე გვერდის კედლების კაჩოებზედ ეკიდა ძველმანი ტანისამოსი, ძაფნაკუწებით და ბამბა-მატყლით გაჩურთული კალათა-გიდელები, საპენტი, ტარაბუა, ნახმარი წინდა-ქალმები და ნამგალ-სათიბელი. ქოხის წინა-კუთხის მარჯვენა კუნჭულში ეყუდა ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, წალდი, ხაჩეკალი, ხელ-ცულა, წყლის კოკა და ცოცხის ჯიყა. ქოხისავე წინა მეორე კუთხეში ვირის საბმური ბაგა იყო მოწნული და, როგორც ზოგიერთს სხვა საწყალ-კაცებს, სოსიასაც სახლის წინა-კუნჭულშიება ვირი ზამთრობით, რადგანაც სიღარიბე-მოუცლელობისა და დაუდევრობის გამო გომი არ გააჩნდა და ცოლისაგან ძალდატანებული ეხლა სჩიჩქნიდა საგომეს, როდესაც-კი სამუშაოს ვერა ჰშოულობდა და უსაქმოდ იყო. ქოხის შუა დედა-ბოძთან, რომელსაც წინიდგან დიდი ქვა-კერა ჰქონდა აყუდებული და უკანიდგან გალესილი საფქვილე გოდორი, შუა ცეცხლი გიზგიზებდა და იმ შუა ცეცხლის დასწვრივ ქვაბის საკიდელა ეკიდა გალასტულს ჭერში. შუა-ცეცხლის აქედ-იქიდგან მიწაზედ პურის ნამჯიდამ ნაბდის სისქით დაწნული ნეჭები იყო გაშლილი და იმ ნეჭებზედ მოკეცილნი გულ-ხელს ითბობდნენ ცეცხლზედ, ხოლო ბეჭები კი ქოხის ჭერ-კარებ-დირეებიდგან მოწიწინე ზამთრის სუსხიანის სიცივით ეყინებოდათ და საცოდავად იჩემუჩნებოდნენ, მეტადრე პატარა ბალღები, რომელთაც თვალებიც-კი ჯანღივით დამდგარ ბოლით ეწვებოდათ. მთელი ქოხი და მისი ყოველივე ზემო-აღწერილი ავლა-დიდება შუა-ცეცხლის კვამლით იყო შემურული და შემჭვარტლული—აი მთელი სურათი სოსიას სახლის მოწყობილობისა, რომელიც არაფრით განირჩევა მრავალ ღარიბ-ღატაკ გლეხ-ხალხთა ოჯახების მოწყობილობისაგან.

სოსიას ორი ქალი გაეთხოვებინა, ოთხი შვილი მოჰკვდომოდა და სამი ერთმანეთზედ მოყოლებული პატარა ორი ქალი და ერთი ვაჟი შინა ჰყავდა ცუდ-მჭამლებად. უსულმერთო მოვალე-მოვახშეების სარგებლის სარგებლისა, წურბელა ჩარჩ-ვაჭრებისა და ათას გვარ ბეგარა-გარდასახადისაგან გატყავებულს სოსიას ერთის ქოხისა დ ვირის მეტი აღარა გააჩნდა-რა. ერთი პატარა ვენახიც ჰქონდა უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ისიც მოვალეებს მისცა, რადგანაც თავისის ოფლის ნაწვავ-ნადაგიდგან ერთს მტევანს ყურძენსაც არ ანებებდნენ ყმაწვილებისათვის. შევიდოდა თუ არა თვალი ყურძენში, გამგელკაცებულ სვავებივით ეხვეოდნენ სოსიას ვენახს „ლისტიანი“ მოვალეები და ქიგო-სარებით თავ-პირს ალეწავდნენ ერთმანეთს: არა მე უნდა დავკრიფო, არა მეო. მოდი და ამ ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდნილი სოსია ხვეწნითაც ნუ მისცემდა თავისს მამა-პა-

*) იხ. „ივერია“ № 27.

რომელიც საყასბოზედ დაიკვლება, დამღა ექმნება დასმული.

*** 4 თებერვალს ტფილისიდგან ბაქოში წასვლის დროს სომეხთა კათოლიკოსმა მკრტიჩმა აჩუქა მესამე ნაწილის ბოქაულს თავ. სიდამონიშვილს-ერისთავს ოქროს ბეჭედი, რომელზედაც ამოჭრილია სახარების სიტყვები სომხურს ენაზედ.

*** სიფილისის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემმუშავებელი კომისია უკვე შეუდგა ახალის პროექტის განხილვას, რომლითაც განზრახულია თვალყური ადევნონ ურიგო ყოფა-ქცევის ქალებს.

*** 4 თებერვალს გორის მაზრის მცხოვრებელმა ილია ადუაშვილმა ტფილისის სადგურზედ გაიცნო განჯიდგან ახლად ჩამოსული ნადეჟდა ვაისოვისა, რომელსაც უნდოდა ტფილისში ვიღაც თავისი ნაცნობი ეპოვნა და იმისი ბინა-კი არ იცოდა. ადუაშვილმა უთხრა, მე გაჩვენებ ნაცნობსო, და თან წაიყვანა. როდესაც მუშტაიდზედ მიდიოდნენ, ადუაშვილი მიჰვარდა ქალს, ააგლიჯა ვერცხლის საათი და ამოაცალა ჯიბიდგან ქისა, რომელშიაც 8 მანეთი იყო. ადუაშვილი პოლიციამ შეიპყრო, ქისა და საათი გამოართვა და სასამართლოს გარდასცა.

*** 5 თებერვალს მე-10 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა დიდუბის მცხოვრებმა მინას ფირუმოვმა, რომ წუხელის, ღამის 2 საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა გასტეხა ჩემი დუქნის კარები და წაიღო 25 მან. ფულად და სხვა-და სხვა ნივთები, სულ 200 მანეთისაო. პოლიცია დამნაშავეს დაეძებს.

*** 5 თებერვალს, დილის 11 საათზედ, აზ. ივანე მოკარიანცმა და ალექსი ბარიშნიკოვმა გამოუცხადეს მე-9 ნაწილის ბოქაულს, რომ საერთო დაკეტილ სამზარეულოდგან ვიღაც ბოროტ-მოქმედმა მოიპარა სამოვარი, ქვაბი, 2 სუფრა და ზეწარი, სულ 30 მან. პოლიცია დამნაშავეს დაეძებს.

## წერილი ზემო იმერეთიდგან

22 იანვარი.

სწორედ მეოც-და-მეორე დღეა მას აქეთ, რაც მივატოვეთ ძველი წელი და ფეხი გადმოვდგით ამ წელში. რა მოგვიტანა ძველმა წელმა? წყევითა და კრულვით ჩავაბარეთ პატრონს, თუ ლოცვა ვედრებით აუგეთ ანდერძი და გამოვთხოვეთ უფალს მისთვის საუკუნო ნეტარება?

ვისაც ჩვენის სოფლელების და საზოგადოდ მუშა ხალხისათვის თვალყური უდევნებია, უთუოდ ეცოდინება იმათი ზნე და ჩვეულება. პირველი შეხვედრისათანავე ვინმე სხვა მხრის კაცთან იმათი პირველი საკითხი ის არის, თუ, როგორი წელიწადია თქვენში, ე. ი. როგორ მიმდინარეობს თქვენში მუშაობის საქმე, მოსავალს პირი უჩანს, თუ არაო, და თუ შემოდგომაა, რა უყავით წრევანდელს მოსავალსაო?

შარშან-წინდელმა ქირნახულის მოუსავლობამ ისე შეაშინა ზემო იმერლები, რომ წარსულ გაზაფხულზედ მხნეთ მოჰკიდეს ხელი მიწის შემუშავებას და ერთი ნაჭერი მიწაც არ გაუშვიათ დაუთესელი. ბუნებამაც არ დაიშურა თავისი უხვი მოწყალება და, სწორედ რომ იტყვიან „ცა მოსკდაო“, ისე ამოხეთქა ნათესმა ქირნახულმა. თუ შარშან-წინდელ წელს წყევა-კრულვით იხსენიებდნენ მხვნელ-მთესველნი, მაგიერად წასულ წელს ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ, და სწორედ ღირსიც იყო: პურისა და განსაკუთრებით სიმინდის მოსავალი იმდენად კარგი იყო, რომ თითო სასიმინდისა და ბელლის პატრონმა მეორ-მეორე სასიმინდე-ბელელი ააშენებინა. სამწუხაროდ ესევე არ ითქმის ღვინის მოსავალის შესახებ.

საზოგადოდ ზემო იმერეთის სოფლები განიყოფებიან ბარად და მთებად. ბარ-სოფლებად იწოდებიან იმისთანა სოფლები, რომლებიც მდებარეობითა და ბუნებით ქვემო იმერეთის სოფლებს წააგვანან. მთების სოფლებს-კი ეკუთვნიან იმისთანა სოფლები, რომლებიც მდებარეობით მაღლობ-სერიანები არიან და ბუნებით ბევრად განირჩევიან თავიანთ მეზობელ ბარელ სოფლებისაგან. მაგალითად, ავიღოთ სოფელი ჩიხა და ს. კორბოული. პირველი ეკუთვნის ბარის სოფლებს, მეორე—მთისას. სოფ. ჩიხის მდებარეობა მოგაგონებს ქვემო-იმერეთის სოფლებს: იქ ჰხარობს მშვენიერის ჯიშის ვაზი, ლეღვი, ბროწეული, თუთა, წაბლი და კიდევ იმისთანა მცენარეები, რომლებსაც ს. კორბოული მოკლებულია. აი ამ ზემო იმერეთის მთის სოფლების ღვინოები იყო აქამდის აბუჩად აგდებული. სწორედ რომ კვირიკობმარიობის თვეში სასმელია ეს თქვენი ღვინოებიო, ეტყოდნენ ხოლმე წინად ბარელები მთა-სოფლების მცხოვრებთ. აი ეს მთა-სოფლების მამულები ჯერ-ჯერობით დაცულია ვაზის ავადმყოფობისაგან, რადგან ფილოქსერა ჯერ არ გასჩენია აქაურ მამულებს და სხვა ავადმყოფობას უმკლავდებიან სხვა-და-სხვა წამლებით: შაბიამანითა და გოგირდით. ამ მთის სოფლებში იყო წარსულ წელს მშვენიერი ღვინის მოსავალი, რამაც ზოგიერთებს მოაძებნინა 6—7 წლის უხმარი ქურები და ვღარც ბარელები იგდებენ აბუჩად უწინდებურად ჩვენს საზაფხულო ღვინოს, რადგანაც ღირსებით წინანდელზედ ბევრად უკეთესია.

როგორ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებიან საზოგადოდ ზემო იმერლები? მეტად ცუდსა: ქირნახული გასასყიდი არ მოსდით, ღვინის ფასი შემოაკლდათ მოუსავლელობით, ქვა-გუნდის ზიდვა ხარ-ურმით ჭიათურიდგან ზესტაფონამდე მოესპოთ ეს 5—6 წელიწადია, ამითი-კი სულს იბრუნებდნენ. მხოლოდ ზოგიერთი სოფლები თუ სარგებლობდნენ ჭიათურის შავი ქვით, თორემ სხვები ამასაც მოკლებულნი არიან, თუმცაკი ვაი იმ სარგებლობასაც: ჯერ ერთი, რომ ყოველ ჩამოტანილ ათ ფუთზედ ორი უფასოდ (ამას ტარას ეძახიან) პატრონს რჩება, ეს განცხადებით. ამას გარდა, თუნდა კარგს ერთ უღელს ცხენს 30 ფუთზედ მეტი ჰქონდეს ჩამოტანილი, მოხერხებული ნოქარი ოცზედ მეტს არ უწერს და საწყალ უვიცს ჩალვადარს რა გზა აქვს, რომ არ დასთანხმდნენ. ასე და ამ ნაირად მეოთხეზედ მეტი ჩამოტანილი ქვა სულ მუქთად რჩება შავის ქვის პატრონს. ნოქარის ადგილსაც ის იშოვის, ვინც ბევრის ქვის მუქთად შეძენას დაჰპირდება პატრონს.

ხალხი იმდენად არის შევიწროვებული უფულობით, რომ არ იციან, თუ რომელს ღონის ძიებას მიჰმართონ.

მაშ რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს?

უპირველესი ადგილი ამ მხრივ უნდა დაეთმოს მეაბრეშუმობასა და მეფუტკრეობას. ამ მხრივ წარსული წელი მადლობით აღსანიშნავია. მე მოგახსენებთ შარშანდელ გამართულ სამასწავლებლო კურსებისას, რომელსაც საგნად ჰქონდა გავრცელებაა ჩვენს მხარეში ამ ორის სამეურნეო დარგის ცოდნა იმ მასწავლებლების მეოხებით, რომლებიც მოწვეულ იყვნენ ხსენებულ კურსებზედ შარშანდელ წელიწადს, რომ ამის მეტი არა გაეკეთებინა-რა ჩვენთვის, ესეც საკმარისი იყო, რომ იმის ხსოვნა სამარადისოთ დარჩენილიყო ჩვენს გულში.

თუ რავდენად გაუმართლდათ და შეუსრულდათ როგორც მთავრობას, ისე ჩვენს მეთაურებს კურსების იმედი, ამას ჰმოწმობენ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამოსწავლო საბჭოთა წევრნი, რომელნიც აღტაცებაში მოიყვანა კურსებზედ მიწვეულ-მასწავლებლების საერთო გამოცდამ და ნათლად დაინახეს, თუ როგორის დაბეჯითებით შეესწავლათ სამეურნეო დარგის ყველა ნაწილები.

საქმე ის არის, როგორ გამოიყენებენ შეძენილ სწავლას ჩვენი მასწავლებლები, რომ ხალხის გულიც მიიზიდოს მის შესასწავლად. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათლად დაინახავენ, თუ რა სარგებლობა მოუტანა ამ ახალმა ცოდნამ თვით მასწავლებელთ. ვეკითხავთ, წასწევენ თუ არა თვით ისინი ცოტათი მაინც თავის ეკონომიურ მდგომარეობას წინ თავისის ახლად შეძენილის ცოდნით? სამწუხაროდ, რომ ვერა, არამც თუ ეხლავე, ვერც 5—6 წლის შემდეგ, თუ ამისთანავე გარემოებაში იქმნენ, როგორშიაც ამ ჟამად იმყოფებიან. ხელს შეუშლით იარაღის უქონლობა, რომლის შეძენა თითქმის საზოგადოდ ყველა მასწავლებლისათვის შეუძლებელია სიღარიბისა გამო.

როგორც ვთქვით, მთავრობას გაუმართლდება მხოლოდ მცირე ნაწილი მოლოდინისა, უმთავრესი-კი არამც თუ ახლავე, კარგა ხანი ვერ აუსრულდება, თუ სხვა ღონე არა იღონა-რა და დახმარება არ გაუწია ხელ-მოკლე მასწავლებლებს.

თუ ყველა მასწავლებლებისათვის იარაღის შეძენა შეუძლებელი იქმნებოდა, იმ შემთხვევაში იმისთანას მაინც შესძინონ, თუნდა ათში ან ოცში ერთს, რომლისგანაც ექმნებათ იმედი ჟანგს არ შეაჭმევს იარაღს და სავსებით ეცდება თავისი მაგალითით ხალხშიაც სწრაფად გაავრცელოს ზოგიერთი დარგი სამეურნეო ცოდნისა.

აი, ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ეპარქიის სამოსწავლო საბჭომ. მან კარგად უნდა იცოდეს მეთვალყურეთა შემწეობით, თუ რომელ ადგილის რომელი მასწავლებელია ღირსი სამეურნეო იარაღების შეძენისა და ჯეროვანი შუამდგომლობა გაუწიოს, სადაც ჯერ არს, რომ თუ უსასყიდლოდ არა, ჯერ-ჯერობით ნისიად მაინც შესძინონ და ნახული და გაგონილი ბარემ ახლავე სისრულეში მოაყვანინონ. იმათი მაგალითით წაქეზებული ხალხი, რომლის ეკონომიური მდგომარეობა უკიდურესს მდგომარეობამდისაა მიღწეული, აღტაცებით მოჰკიდებს ხელს მისთვის ფრიად სასარგებლოს და ცოტათი მაინც ქონებრივად წინ წასწევს მეურნეობას, ხალხის ეკონომიაც ცოტა არ იყოს სასიკეთო ნიადაგზედ დადგება, რასაც ნათლად ჰმოწმობს ქვემო იმერეთი და გურია-სამეგრელო მეაბრეშუმეობით, სკოლების რიცხვიც იმატებს და უეჭველია მასწავლებლების მდგომარეობაც სასიკეთო ნიადაგზედ დამყარდება.

ვლადი კორბოულელ-სანახშირელი

## რუსეთი

—

ამ დღეებში საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ გამოუცდელად შინა მასწავლებლობის უფლებით შეუძლიანთ ისარგებლონ საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა თანაშემწეებმა და შტატს გარეშე მყოფმა მასწავლებლებმაო.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვისამებრ თებერვლიდგან ლექციების კითხვა დაიწყო ბ-ნმა ქალანთარმა რძისა და ერბო-ყველის დამზადების შესახებ ქ. პეტერბურგში.

— შრომის მოყვარეობისა და სამუშაო სახლების სამზრუნველოს კომიტეტმა ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ნებართვით 1897 წ. 1 ნოემბრიდგან ყოველ თვიურ ჟურნალის გამოცემა დაიწყო. ჟურნალი პროფესორის ვ. ფ. დერიუჟინსკის რედაქტორობით გამოდის და სახელად „Трудовая

---

პეულს ვენახს მოვალე-მოვახშეებს.

სარგებლის სარგებლებით გაუმაძღარი მოვალეები სოსიას მერცხალა ვირსაც დამშეულ მგლებივით უთვალთვალებდნენ და გულით ეწადათ კურტან-ნალებიანათ გადაეყლაპათ ისიც გუდა-ლეღვივით, მაგრამ სოსია წელიწადში თითო კვირას მუქთად ჰშველოდა სამკალში სამგორის ბულასავით კისერ-გატროყებულ მამასახლისს და ამის გამო მამასახლისი პირში ბურთსა სჩრიდათ: „ზაკონი ნებას არ მაძლევს, ღარიბ კაცს წლის სარჩო და მაცხოვრებელი ვირი გავუყიდოო“. მამასახლისს ვირის ნახევარ ფასს ქრთამად ჰპირდებოდნენ სოსიას მოვალეები, მაგრამ რა გიჟი იქნებოდა ხუთიოდე მანათზე სამუდამო ყურ-მოჭრილი ყმა გაეცვალა. დიაღ, სარფა არა ჰქონდა, თორემ მამასახლისი, რომელიც ყველა განუვითარებელ მამასახლისებივით, პირველი მცველ-მფარველი იყო თავისის სოფლის ამომგდებ-სათოკე ქურდვა ზაკებისაც კი, „ზაკონებს“ არ დაგიდევდათ და თავისის სარფის გულისათვის მშობელ-დედასაც კი თავისგან ნაწოვნ ძუძუს ძირში დააჭრიდა მალვით-ფარვით, ისეთი უღვთო და საზიზღარი იუდა რამ იყო.

წლის-წლობამდის, ზამთარ-ზაფხულ სოსია მუშაობით წელებზედ ფეხს იდგავდა, სულ სხვათა მუშაობად იყო შინ და გარეთ, სადაც-კი დღიური ან თვიური სამუშაო მოიპოვებოდა, და ძლივ-ძლიობის ქაპანწყვეტით გამოჰყავდა ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი და ჩაუცმელ-დაუხურავი ცოლშვილი, რადგანაც, როგორც საზოგადოდ ყველა მუშა, სამუშაოს ყოველთვის ვერა ჰშოულობდა და, შესანახ ცოლშვილის გარდა, ათას გვარი სახელმწიფო თუ სასოფლო საზოგადო ბეგარა-გარდასახადი კიდევ ცალკე უჭირებდა საქმეს. თავიანთ ეკკლესიის დღეობის მოახლოვების ხანებში ხომ სიცოცხლეში წილი აღარ ედვა სოსიას და თვალზედ ძილი აღარ ეკიდებოდა გადარდ-ბოროტიანებულის ფიქრებით: სუყველა სასყიდელი ჰქონდა—პურიც, ღვინოც, ხორაგიც, საამათო ფული არ გააჩნდა და რამდენსამე მანათსაც აღარ ენდობოდნენ, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ სიღარიბის ვალ ვახჩისაგან გაწყალებულს სოსიას ქალის მგლებივით გარს ეხვეოდნენ „ლისტიანი“ მოვალეები, მაგრამ უღმერთოდ გამოხრულ ჩონჩხს მგლები რაღას დააკლებდნენ!

როდესაც ქიზიყის რომელსამე სოფელს თავისის ეკკლესიის დღეობა უახლოვდება, გაცხარებულ მკა-ლეწვაშიაც რომ იყოს ხალხი, დღეობის ერთის კვირის წინადვე თავს ანებებს სამუშაოს და დღეობის სამზადისს უდგება. მედღეობეთა უმრავლესობა ვალ-ვახჩის აღებით ყიდულობს ღვინოს, ხორაგს და ბევრჯელ მოუსავლობის დროს პურსაც. მაგრამ ყველაზედ მეტს გაჭირვება-ქაპანწყვეტაში ვარდებიან დღეობის გამო სოსიასთანა ხელ-მოკლე ღარიბ-უქონლები, რადგანაც იმათ ყველა სასყიდელი გაჰხდომიათ, ფული არ მოეპოვებათ, არც ვალის აღების ნდობა აქვთ უსულ-ღმერთოების სარგებლის სარგებლებისაგან გამოხრულებს და ძალ-უნებურად ჰყიდიან დღეობისათვის თუ რამ აბადიათ და გააჩნიათ.

მართალია, მედღეობენი ანუ მასპინძელნი ორნაირს ზარალში ვარდებიან: შვიდ-რვა დღეს დღეობის სამზადისში სცდებიან და დიდი ხარჯიც მოსდით მუდამ წელიწადს ყველას თავის შეძლებისა და გვარად, მაგრამ არც დღეობის სტუმრებს ეყრებათ ხეირი: ისე უღმერთოდ ძღებიან ქარვალალის ღვინით ჯამ-ჯიხვებ-ყანწებში გაჯიბრებულნი, რომ მთელს ერთს კვირას აღარ ვარგანან სამუშაოდ ზომას გადასულის სმეულობისაგან რძე-ნაწყენ ძუძუთასავით გაჩიჩრაღულნი და გალახულნი. ბევრნი ერთმანეთსა ჰხანჯლავენ სიმთვრალეში, სულიან-ხორციანად იკარგებიან, ბევრნი ავადაც ხდებიან გაციებით და იხოცებიან კიდეც უწამლობით, უმეცრულის მოვლა-პატრონობით და სათოკე მკითხავ-ქადაგების ქაჯ-ეშმაკურის რჩევა-გაბრიყვებით. ეს ასეა, მაგრამ ქიზიყელ გლეხკაცისათვის სიკვდილზედ უარესია: მეზობელს დღეობა ჰქონდეს და თითონ-კი არა; მაშინ ხომ ქვეყანაში გამორჩეულს, უხეირო ღვთის გლახას დაარქმევენ და სირცხვილით თავს ველარ გამოჰყოფს ხალხში; აი, სწორედ ეს გახლდათ კიდეც სოსიას და მისის ცოლის მარიამის გულ-ყრის მიზეზი, რომ ორმოც მოწამის დღესასწაული ანუ როგორც თვით ხალხი ამბობს: „ორმოცობა“ უახლოვდებოდათ და იმათ კი დღეობის მოსამზადავნებლად არა გააჩნდათ-რა უქონლობის ძლიერებით ძლევა-მოსილის სიღარიბისაგან გამოფხეკილ ქოხმახოში.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Помощь“-ი ეწოდება. ჟურნალს ყოველგვარ საქველმოქმედო საგნის გამორკვევა აქვს აზრად,

— ნიჟეგოროდის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს სატეხნოლოგიო ინსტიტუტის დაარსების შესახებ ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში. ამ აზრით საბჭო აპირობს ერთხნობით 200,000 მან. გადასდოს, ან მუდამ წელს 10,000 მან. აძლიოს ინსტიტუტს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთისა და იმის მცხოვრებლების ყურადღება პრეზიდენტიდგან დაწყებული უკანასკნელი ქუჩის მაწანწალამდე, ამ ჟამად მთლად ზოლას საქმეზედ არის მიქცეული. მოხელეს, ხელოსანს, მდიდარს თუ ღარიბს მხოლოდ ზოლა და იმის მიერ გამოწვეული ამბები აკერია პირზედ. სახლში თუ გარეთ, ქუჩაში თუ მოედანზედ სჯა ბაასი მხოლოდ ამაზედაა. ჟურნალ-გაზეთებს ხომ ნუღარ იტყვით! პირველი სტრიქონიდამ უკანასკნელამდე რო გადაიკითხოთ, ზოლასა და დრეიფუსის მეტს ვერაფერს ვერა ნახავთ. ზოგი ამართლებს ზოლას, ზოგი კიდევ ამტყუნებს. ქუჩაში ერთსა და იმავე დროს გაისმის- „გაუმარჯოს ზოლას“ და „სიკვდილი ზოლას“. ასევეა თვით სასამართლოშიაც საქმის გარჩევის დროს: ზოგი ტაშს უკრავს, ზოგი კიდევ ზიზღით იხსენიებს. შესანიშნავი რომანისტი ამ ჟამად 58 წლის კაცია. გამხდარი, ფერ-მკრთალი სახე აქვს. მოკლე წვერში ჭაღარა აქვს გამორეული. სამართალში ზოლას გარდა დრეიფუსის საქმის გამო მიცემულია აგრეთვე მთავარი რედაქტორი გაზ. „Aurore“-სა, რომელშიაც ზოლამ თვისი წერილი დაჰბეჭდა ესტერგაზის საქმის გარჩევის შესახებ. ეს გაზეთი შარშან იქმნა დაარსებული. ზოლას სასამართლოში იცავს ვექილი ლაბორი. ლაბორი ახალგაზდა, მაღალის ტანის და ლამაზი შეხედულობის კაცია. ლაბორიმ შარშან ისახელა თავი, როდესაც ანარქისტს ვაიანს იცავდა. მეორე ბრალდებულის — რედაქტორის ჟორჟ კლემანსოს — დამცველი იმისი ძმა დეპუტატად ნამყოფი კლემანსოა. კლემანსო შესანიშნავი ორატორი და გამოცდილი კაცია. იმის წყალობით რამდენიმე სამინისტრო დაეცა. შარშან არჩევანების დროს კლემანსო გააშავეს, რადგანაც პანამის საქმეში მონაწილეობა დასწამეს. მას შემდეგ კლემანსო გაზეთებში იღებს მონაწილეობას და ფილოსოფიურ წერილებსა სწერს. როგორც გაზეთები იუწყებიან, სასამართლოში ზოლას საქმის გარჩევის დროს ისეთი ჭყლეტა და აურზაურია ხოლმე, რომ პოლიციას ვერაფერი გაუწყვია და მშვიდობიანობა ვერ დაუმყარებია. ქალები და კაცები ერთმანეთს ეცილებიან, სკამებზედ და მაგიდებზედ გადადიან და ისე სცდილობენ კარგი ადგილი დაიჭირონ. წამ და უწუმ გასავალსა და კარებში ჩხუბისა, მუშტებისა და სილების ხმა მოისმის ხოლმე. განსაკუთრებით აურზაური საქმის გარჩევის პირველ დღეს ყოფილა. ისეთი ჭყლეტა იყო თურმე, რომ ბევრ ქალს გული შეჰღონებია. ქალებს დასადგომი ადგილები რომ ვეღარ უშოვნიათ, მსაჯულთა სკამებზედ წამოსკუპებულან. პოლიციამ ძლივს განდევნა თურმე ამ ადგილებიდგან პატივცემული მანდილოსნები. ბოლოს იმით დასრულებულა საქმე, რომ მაყურებელნი იატაკზედ დაუსხამთ. ბევრს ქალს თან საგძალიც-კი მოუტანია.

## სასამართლოს მატიანე

ცრუ მოწმობა

(შემდეგი *)

თავი მოგაწყინეთ, ბ-ნნო მოსამართლენო, ბრალდებულის ჩვენების დაწვრილებით გარჩევით, მაგრამ ეს ჩვენება ამტკიცებს და აშკარადა ჰყოფს იმ ბრალს, რომელიც იმას ედება. ყურადღება მიაქციეთო სვიმონოვისა და იმის ხელქვეითის ახვლედიანის, რომელიც თავისის უფროსის ხელმძღვანელობით და გეგმით ჰმოქმედებდა, ჩვენებათა სხვა-და-სხვაობას და სიბუნდეს. ეს ჩვენებანი რომ სიმართლეს მოკლებული არ იყოს, მაშინ ორივეს ჩვენება ერთნაირი იქნებოდა, ნამდვილად-კი ეს ჩვენებანი განსხვავდება არა მარტო წვრილმანებში, არამედ მთავარშიაც-კი. ის, რაც ისე მართალსა ჰგავდა პოლიციის გამოძიების დროს და რასაც გამომძიებლის ხელშიაც არა უჭირდა-რა, სასამართლოში მტკნარი სიცრუე გამოდგა. ბოქაულის თავ. წულუკიძის ჩვენებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ბრალდებულს აუარებელი ყალბი ფული ჰქონია სვიმონოვის ქუთაისში მოსვლამდის. თუნდა რომ თავ. წულუკიძეს არ დავუჯეროთ, ამას დაგვარწმუნებს პოლიცმეისტრად ნამყოფის თავ. ჭავჭავაძის დროს მომხდარი ამბავი, ჩვენება მოწმეთა სერაპუტოვსკისა, წერილების დამტარებლისა და სხვათა. დასასრულ ამ ამბის სიმართლეს გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ თვით სვიმონოვი და ახვლედიანი გამოტყდნენ. ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ პირველი ჩვენება ყალბის ფულის შესახებ ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია. ბრალდებული სასამართლოს წინაშეც ამტკიცებდა, რომ დაფინე გავიცანი როგორც ჩუმმა-მაძიებელმა და ისე დავუახლოვდიო. ეს ტყუილია! დაფინესა და ახვლედიანის დახლოვება დიდის ხნის ამბავია. ჯერ ისევ 1885 წელს დაფინეზედ ბრალდებულის ძმა ნესტორ ახვლედიანი იყო დანიშნული. საქმის დაწყებამდე სამის წლით ადრე ბრალდებულს დაფინესაგან, ბოქაულის თავ. წულუკიძის შემწეობით, სამი მანეთი უსესხნია.

1893 წელს, 12 მარტს, წერილში ახვლედიანი დაფინეს ფულსა სთხოვდა, ეხვეწებოდა თანაგრძნობა აღმომიჩინე, შენს ძმად მიგულეო. ყველა ამის მიუხედავად, ახვლედიანი სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ მე როგორც ჩუმა-მაძიებელმა გავიცანი დაფინე, დაუახლოვდი და სხვა-და-სხვა. ყველა ამას-კი იმიტომ ამბობდა, რომ თავის სიყოჩაღე, სამსახურის ერთგულობა დაემტკიცებინა, რადგანაც პოლიციელის წარმოდგენით ყველა ეს ყალბი წერილები, უაზრო პირობანი გზას გაუხსნის კაცს ამაღლებისა და წარმატებისათვის. მაგრამ ამას თავი გავანებოთ და საქმეს გავყვეთ. როდესაც ახვლედიანმა დაფინესაგან 22 ცალი ყალბი ქაღალდის ფული მიიღო, მოგვითხრობს ოქმი, ბრალდებული და დაფინე ჯოხაძე უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთსა. დაფინემ პირობა მისცა 1000 ცალს ყალბ ქაღალდის ფულს გიშოვნიო. ამის შემდეგ მიწერ-მოწერაც გაიმართა. ბრალდებულმა ვაშაკიძის წერილიც-კი ნახა. ახვლედიანმა, თითქოს ყველაფერი აღმოაჩინა, გამოჩხრიკა, ნამდვილად-კი საქმეს უმთავრესი აკლდა: არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა სჩანდა იმისა, რომ დაფინეს ამხანაგი ჰყოლოდა. ბრალდებულმა იმითი ახსნა ეს, რომ დაფინემ ვაშაკიძის წერილი არ მომცაო, მაგრამ ეს ტყუილია. ახვლედიანი ისე დაუმეგობრდა და დაუახლოვდა დაფინეს, რომ ამ წერილს უეჭველად გამოართმევდა, თუ-კი იყო სადმე ასეთი წერილი. შემდეგ მოსამართლეთა ყურადღებას მივაქცევ მიწერ-მოწერას, რომლის შესახებ ბევრს ლაპარაკობს პოლიცმეისტერიც-კი. სხვას რომ თავი გავანებოთ, მარტო ამ წერილების ენა საეჭვოდა ხდის საქმესა და ამტკიცებს, რომ წერილები დაფინეს სხვის შთაგონებით დაუწერია. ასეთი წინადადებები და სიტყვები, როგორც „ეშმაკმა იცის ჩემი თავი“, „არამზადა“, „ეშმაკმა წაიღოს“ და სხვა, დაბალის თანამდებობის პოლიციელის ჩვეულებრივი ენაა და არა მანდილოსნისა; მაგრამ ეს თვით ბრალდებულმაც აღიარა. მაშ რას ჰნიშნავს ყველა ეს, რა საჭიროებამ გამოიწვია ეს კეკე-მალულობა? ამის პასუხს არ იძლევა არც ერთი იმ საბუთთაგანი, რომელიც პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა. ეს კიდევ არაფერი, თუ პოლიციის გამოძიებას გავყვეთ, უფრო უცნაურსა და არა ჩვეულებრივს ამბებს შევხვდებით. როგორც პოლიცია გვარწმუნებს, ვაშაკიძე კიდე კ დაჰპირებია 1000 ცალს ყალბ ქაღალდის ფულს გიშოვნით, მხოლოდ 500 მანეთი ბე მომეცითო, მაგრამ პოლიცმეისტერმა არ მოიწადინა ვაშაკიძის ჩაბმა, იმიტომ რომ ხუთასი მანეთი არა მქონდაო. სვიმონოვი ძალიან გამოცდილი კაცია, დიდი ხანია ჩუმ-გამოძიების საქმეს მისდევს, რისათვის სახელმწიფო ფულიცა აქვს ხოლმე,—და ამიტომ, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ თუ საჭირო იქმნებოდა საქმის გამოსააშკარავებლად, ამ 500 მანეთს არ დაზოგავდა ისე, როგორც 30 მანეთი არ დაზოგა, ხოლო თუ ეს არ ჩაუდენია, ყველა ეს ამბავი მოგონილი და ტყუილი ყოფილა. თუ მოვიგონებთ აგრეთვე ზღაპრებს მანქანის შესახებ, იმ ადგილის ცრუ ამბავს, სადაც ვითომ ყალბს ფულსა სჭრიდნენ, იმ კაცების შესახებ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ,—აშკარად დავინახავთ, რომ აქ რაღაც ამბავია, რაღასა იმალება, რომელიც სასამართლომ არ უწყის. მხოლოდ ერთი შეიძლება ვთქვათ, რომ ეს დასახელებულნი პოლიციის გამოძიების ფურცლებში მოჰყვნენ იმიტომ, რომ პოლიციას წინდა-წინვე სახეში ჰყავნდა ეს კაცები. პოლიცია გვარწმუნებს, რომ სხვა-და-სხვა გარემოებამ გვაიძულა საქმე დაგვეჩქარებინაო, დაფინე მიხვდა, რომ ვატყუებდით და ამის წყალობით სხვას ვეღარ ჩავჰქიდეთ ხელიო და სხვანი, მაგრამ ყველა ეს არ ეთანხმება არც საქმის საზოგადო ვითარებას და არც დამცველის მოწმის ქუთათელაძის ჩვენებას, რომელმაც სთქვა, რომ დაფინე სრულიად დამშვიდდა, როდესაც ბრალდებულისაგან შავად დაწერილი პირობის ქაღალდი მიიღოო.

ეხლა ბრალდების მეორე ნაწილს შევეხები. ბრალდებულმა, მარტო იმიტომ, რომ სამსახურში წინ წასულიყო, მოიწადინა უდანაშაულო დედაკაცის დაღუპვა და ის დანაშაული, რომელიც თითონ ჩაიდინა, იმას მოახვია თავზედ. სასამართლოს ხელთა აქვს ნივთიერი საბუთი: ყალბი ქაღალდის ფული, რომელიც ახვლედიანმა წარმოადგინა. ეხლა ნება უნებურად უნდა ვიკითხოთ: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ეს ფული დაფინე ჯოხაძესათვის გამოერთმიათ? ენდობოდა თუ არა ქმარი თავის ცოლს დაფინე ჯოხაძეს? თვით ბრალდებულმა აღიარა, დაფინეს ქმარი უნდა მოეტყუებია და ისე მიეცა ახვლედიანისთვის ფულიო. ამის შემდეგ ძნელად საფიქრებელია, რომ ქმარი ცოლსა ჰნდობოდა და ყალბი ფული მიეცა. გარდა ამისა, საქმეში სხვა საბუთებიც არის, რომელიც აპათიღებს ბრალდებულის ნაამბობს. ასეთ საბუთებს, სხვათა შორის, ეკუთვნის დაფინეს ჩვენება ბოქაულის თავ. წულუკიძის სახლში. დაფინემ პირველად ყველაფრის უარი განაცხადა. მას წარუდგინეს პატიმრის სახით ბრალდებული ახვლედიანი, რომელიც ვითომ ყალბის ფულის გასაღებისათვის იქმნა დაპატიმრებული, და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მარტოდ მოილაპარაკეს, დაფინემა სთქვა, რომ ნამდვილად გადავეცი ახვლედიანს ყალბი ფული, რომელიც ჩემს ქმარს ეკუთვნოდაო, მაგრამ აშკარაა, დაფინე შეშინდა და ვერ გამოარკვია ის, რასაც ახვლედიანი ეუბნებოდა; ამის გამო დიდი განსხვავება აღმოჩნდა დაფინესა და ახვლედიანის ჩვენებათა შორის, რაიცა ამ ჩვენებათა სიცრუეს ამტკიცებდა. სწორედ ამიტომ შემდეგ, როდესაც დაფინემ დაინახა, რომ პირველმა ჩვენებამ თვით ის გააბა მახეში, გულ ახდით გამოტყდა, რომ ახვლედიანმა დამარწმუნა ასეთის ხერხით ქმრისაგან განთავისუფლდებიო; ახვლედიანმა ყალბი ფული მომიტანა, დამპირდა შეგირთავო და მითხრა, რომ თუ ამ საქმეს მოვახერხებთ სამსახურშიაც დავწინაურდებიო. დასასრულ, ბოქაულმა წულუკიძემ თავისის თვალითა ჰნახა, რომ სვიმონოვის ქუთაისში მოსვლამდე ახვლედიანს ყალბი ფული ჰქონდა, ამასვე ამტკიცებს ეკატერინე და ოლგა წულუკიძეთა ჩვენება.

ყველა აქ ჩამოთვლილი გარემოება ნებას გვაძლევს დაბეჯითებითა ვთქვათ, რომ ბრალდებულს ახვლედიანს ყალბი ფული დაფინესაგან არ მიუღია. საიდგან, ვისგან და როგორ მიიღო ახვლედიანმა ფული, რა უყო დანარჩენ ყალბ ფულს,—ყველა ეს წყვდიადით არის მოცული. ხოლო რამ გამოიწვია, რომ დაფინე ჯოხაძეს ბრალი დასდეს და ასეთი ცილი დასწამეს? იმან, რომ პოლიციამ შორს შეტოპა, გზა-კვალი დაებნა და რადგანაც ვერაფერი აღმოაჩინა, ცალიერის ხელით უკან დაბრუნება სირცხვილად მიიჩნია. ყველაზედ უფრო სამარცხვინო როლს ამ საქმეში ახვლედიანი თამაშობდა და სწორედ ამიტომ ყველაზედ ძალიან უკან გამობრუნება იმას ეძნელებოდა. ბრალდებულთა სკამზედ არც ერთი იმათგანი არ დამჯდარა, რომელთაც ყალბის ფულის გასაღების ბრალსა სდებენ, გარდა დაფინე ჯოხაძისა, რომლის გაუბედურებითაც ერთგული პოლიციელი მოხელენი ჰფიქრობდნენ თავიანთ თავისს წარმატებასა და ამაღლებას. ამით ვასრულებ ჩემს სათქმელს.

(დასასრული იქნება)

*) იხილე „ივერია“ № 27

## დამაკვირდი

შგუნებო ადამიანი ნებასაც მოკლებულია. ვისაც გონება არ მოუპოვებია, იმას ადვილად გადააცდენენ გზას და იარაღად გამოიყენებენ. მხოლოდ იმას შეუძლიან თავისუფლადა და დამოუკიდებლად ყოფნა, ვინც აზროვნობს.

ფეიერბახი

* * *

ალლახს მადლობასა გწირავ, რომ ქვეყანა სულელებით არის სავსე; ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ ეს უბადრუკი წუთი-სოფელი ბრძენთ სულ ვერ შეიშნავდა.

მირზა-შაფი

* * *

შთახედვიდე გულსა შინა შენსა და აღსწონდე, ვითარცა სასწორითა, საქმეთა შენთა.

იოანნე ბოლნელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანული ჟურნალი „დედამიწა და ზ ე ცა“ სწერს, რომ ერთს ფრანგს გოდარს განზრახვა აქვს ჰაეროსტატით წავიდეს ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ. გოდარს თან გაჰყვება გამოცდილი ჰაერონავტი სურკუფი, კიდევ ორი კაცი და მათ გარდა ქიმიკოსი, მეტეოროლოგი და მკურნალი. სულ, მაშასადამე, შვიდი კაცი იქმნება. ჰაეროსტატი ისე იქმნება გამართული, რომ მთელ ორ თვეს დარჩება ჰაერში. გოდარს იმედი აქვს, რომ ზაფხულის პირს ანდრესაგან ამბავს მივიღებო.

* * *

ამერიკის ერთს შტატში („ტენესი“) განხილულ იქმნა შემდეგი საქმე: ნება აქვს თუ არა ვექილს საქმის გარჩევის დროს იტიროს სასამართლოში. ამ საქმის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ხშირად ვექილებს ბრალდებულთა დაცვის დროს ცხარე ცრემლით უტირნიათ და ისე აულელვებიათ მსაჯულები, რომ იმათი გული მოულბიათ და ამ გვარად მსაჯულებს ნამდვილი ავაზაკები გაუმართლებიათ სასჯელისაგან.

სასამართლომ გადასწყვიტა: ვექილის ცრემლი კანონიერი საშუალებაა ბრალდებულის გამართლებისათვის ხმარებული და ამიტომ ვერ ავუკრძალავთ ტირილსაო. ამ გვარად ამერიკელ ვექილებს შეუძლიანთ რამდენიც ენებოთ, იმდენი იტირონ სასამართლოში.

* * *

ერთის გერმანულის გაზეთის უკანასკნელ ნომერში სწერია, რომ გერმან რიდერს, რომელიც მიუნჰენის ბაქტეროლოგის ბიუჰნერის ხელმძღვანელობით ჰმუშაობს, აღმოუჩენია, რომ რენტგენის სხივები ანუ სინათლე ჰკლავს ხოლერისა, ხუნაგისა, ჭირისა და სხვა ამგვარ საშიშ ავადმყოფობის ბაცილებსაო. ვერც ჭლექის ბაცილები გადურჩება ამ სინათლეს. აგვარად რენტგენის სინათლე უებარი წამალი ყოფილა იმ ავადმყოფობისა, რომლის წამალიც აქამდე ვერ მოუგონია მეცნიერებას და რომელიც მუსრს ავლებდა და ავლებს ხალხსა. თუ ეს ამბავი მართალია, მეტი-ღა გამარჯვება გნებავთ მეცნიერებისა!...

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

სვიმონ მეფის ტყვეობიდგან გამოსახსნელად გიორგი მეფემ სტამბოლს

*) იხ. „ივერია“ 27.

წარგზავნა დიდი სასყიდელი. გარნა ვიდრე მისი ელჩები მიაღწევდნენ სტამბოლს, მეფე სვიმონ გარდაიცვალა. ხონთქარმა ელჩებს ფული გამოართვა და გვამი მეფისა დაუთმო. ელჩებმა მკვდარი მეფე მოასვენეს და დამარხეს მცხეთას. **)

ამის შემდეგ გავიდა 137 წელიწადი და ეს სჯულის კანონი ისევ დატყვევდა თათართაგან. 617 გაბადონზედ ვკითხულობთ (ხუცურად):

ესე. სჯულის კანონი. მე ანჩისხატის კანდელაკმა დავით თამაზხან რომ ქალაქში შემოვიდა. მესამე დღეს დავიხსენ თათრისაგან. სვეტი ცხოვლისა იყო და ისევ სვეტიცხოველსა შევწირე. სულისა ჩემისა საკსრად და ძისა ჩემისა მიქელისა სადღეგრძელოდ: შენდობას ბძანებდეთ:. (თამაზხანი შემოვიდა ქალაქში 1737 წელს).

სულ ბოლო გვერდზედ (619) ვკითხულობთ: „ქ. მე ქართლისა კათალიკოზმან დავსწერე გურგენა გარაყანიძეს:. წყეულიმც არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა: რისხავსმცა მამა: ძე: და სული წმიდა: და სუეტი ცხოველი: ვკართი საყდრო და მირონი ღმერთ მყოფელი“...

ეს წმიდა წიგნი მრავალთ ჰქონიათ ხელში და, ჩვენდა სამარცხვინოდ, არ დაუკლიათ თვისი მეცადინეობა მისის მკირფას კაბადონების გასათხუპნავად აბდაუბდა წერითა და შენიშვნებით!

გარნა ამგვარ ჰეროსტრატებს, რომელთაც შენიშვნების და „მომიხსენე უფალო“-ს წერის დროს აზრად ჰქონიათ უკვდავ ეყოფა თვისის ვინაობისა, არ ეკუთვნის სახელოვანი და ცნობილი ტარასი მღვდელ მონაზონი, რომელიც თავის ლამაზის ხელით საქმიანს შენიშვნას წარაწერს (გვ. 617):

„ქ. წელსა 1831, რაც აქ ყოველთა კრებათაგან კანონებია დასხმული, ყოველივე თითოეულად შეემოწმა თავის წინასიტყვაობით რუსულს „კორმჩის“ წიგნს. მხოლოდ ესენი რაც აქ სწერია, თვინიერ ქართველთ კრებისა, ვინაიდგან ესე საკუთრად საქართველოსია და არა მსოფლიო. მ. მ. ტარასი. იოხეთ წმიდანო მამანო“.

რაიცა შეეხება ზემორე ხსენებულ „მეგლის წერას“ დავით აღმაშენებლისას, ჩვენ იგი შევადარეთ უკვე დაბეჭდილს და დიდი განსხვავება აღმოჩნდა. რასაკვირველია, განსხვავებანი აღვნიშნეთ და „ძეგლის წერა“ დავამზადეთ ცალკე დასაბეჭდად.

საყურადღებოა, რომ მე 14 მუხლი „მეგლის წერისა“ დადგენილი ყოფილა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც თურმე „ამერიკულად“ ჯვარს იწერდნენ, ესე იგი ერთმანეთის უნახველად: ვთქვათ დედოფალი სცხოვრობს ქუთაისში და ნეფე ტფილისში და ჯვრის წერის დღედ დანიშნულია 1 თებერვალი. ამ დღეს დედოფალი წავა ეკლესიაში, გვერდს მოიყენებს სხვა კაცს (რასაკვირველია, ნეფის თავმდებს, ანუ მეჯვარეს) და ნეფეც სხვა კაცს (დედოფლის თავმდებს, ანუ მეჯვარეს) და ჯვარს დაიწერენ ერთმანეთზედ და ცოლ ქმარნი შეიქმნებიან.

როგორც სჩანს, „ძეგლის წერის“ დადგენილობით, ესრეთი ცოლ-ქმრობა „უწესო და უსაცინელესი იყო“. გარნა, უეჭველია, იგი წესი უნდა ყოფილიყო ძველის-ძველი ჩვეულება ერისა. ქორწინება იმისთანავე საიდუმლოა, ვითარცა ნათლისღება. ნათლისღება შეიძლება იმისთანა ნათლიისაგან, რომელიც, როგორც ეხლაა მიღებული, ნათლუს ხშირად ჰნათლავს უხილველად თავის სამაგიერო კაცის ხელით. ამგვარადვე ჯვარი უწერიათ მკვლად და ამგვარ ჯვარ-წერის სათანადო მიზეზიც ბევრი იქნებოდა მაშინ: ლაშქარში ყოფნა, რომელიც დააბრკოლებდა ნეფეს, დანიშნულ დროს წასულიყო საპატარძლოსას ჯვრის დასაწერად; მარხვის მოახლოვება, რომელიც შეუძლებელ ჰყოფდა მოუცლელ ნეფის მიერ აღსრულებას ქორწინების ჰაემნისას და სხვა.

„მეგლის წერა“ განაკანონებს დამნაშავეთ: დედოფალსა და მის მეჯვარეს, ნეფესა და მის მეჯვარეს, დედოფლის მოძღვარსა და ნეფის მოძღვარს, — სულ ექვს კაცს — ხუთს მამაკაცსა და ერთს დედაკაცს — (დედოფალს). და ამასთანავე „ძეგლის წერა“ შენიშნავს, რომ ეს „უწესოებაჲ არა ერთგან იყო, არამედ კიდის-კიდე“ და აღესრულებოდა „უფროჲსღა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან“.

ყოველ შემთხვევაში ესე ვითარი წესი დავკირვებისა (თავმდებთა შუაკაცობით) ფრიად საგულისხმიეროა და საგონებელია, მისივე ნაშთია, ვგონებთ, ჩვენ დრომდე მოღწეული ჩვეულება, რომლის ძალით, ხშირად, მშობელთა და ანუ ნათესავთა თავდებობით, საცოლე ქმროდ დაიწინდვიან ხოლმე არა თუ ჩჩვილნი ყრმანი, არამედ ჯერ ისევ დაუბადებელნი ნაყოფნიც.

დასასრულ ვიტყვით იმასაც, რომ „დიდი სჯულის წიგნი“ ისეთი ძეგლია, რომლის მეცნიერულად შესწავლა და გამოქვეყნება პირს დაუყოფს იმ ჩვენ მტერ-მოყვარეებს, რომელნიც ამ რამდენისამე წლის წინად ხმა-მაღლა გაიძახოდნენ, ქართველებს კანონები არა ჰქონიათ ვახტანგ მეექვსემდეო! *)

მ. ჯანაშვილი

**) იხ. „საქართველოს ისტორია“, გვ. 260—271.

*) გუშინდელს ჩვენს წერილში (იხ. № 27 მესამე სვეტის 1-ლი სტრიქ.) სწერია: „მოვადინეთ“, უნდა იყოს მოვიტანეთ.

## გამოსადეგი ცნობა

ვისაც თვალ-ყური უდევნებია, შეჰნიშნავდა, რომ ქათმები ადრე და მალ-მალე კვერცხსა სდებენ მაშინ, თუ საქათმეში თბილა. ამას გარდა, შემდეგი საშუალებაა თურმე კიდევ კარგი, რომ ქათმებმა დიდხანსა სდონ კვერცხი, სახელდობრ გამხმარი თესლი და ფოთლები ენდროსი, რომელიც რბილ საჭმელში უნდა გაურიონ და ზამთრობით იმითი ჰკვებონ ქათმები. კარგია აგრეთვე მოხალულ ქერით და შურის ხორბლით კვება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 თებერვალი.

**ტენერაიფი.** გემი „ფახატი“, რომელიც მარსელიდგან მიდიოდა ანაგისთან კონცხთან დაიღუპა. კაპიტანი, უფროსი აფიცერი და 11 მატროსი გადარჩა, 49 მგზავრი და 38 მატროსი დაიღუპა.

**პარიჟი.** ზოლას საქმე. შერერ-კესტნერმა სთქვა, რომ მე არ შემეძლო ტეისონიერისთვის მეთქვა რამ ესტერგაზის შესახებ, რადგანაც, როდესაც ტეისონიერი ვნახე, ესტერგაზის სახელი არ ვიცოდი. ლაბორიმ უსაყვედურა ტეისონიერს იმის გამო, რომ მან „Matin“-ში წერილი დაჰბეჭდა ტრარიეს წინააღმდეგ. ტეისონიემ სთქვა, რომ არც ტრარიესა და არც შერერ-კესტნერს არ მოუთხოვნიათ, რომ ჩემი მოხსენება შემეცვალაო. ტრარიემ წინააღმდეგობა განაცხადა ტეისონიერის წერილის გამო, რომელშიაც ტყუილის თქმის ბრალსა სდებს. ტრარიემ სთქვა, რომ მთავარ შტაბმა ტეისონიერთან ერთად ზოგიერთი უწესოება ჩაიდინა პიკარის მოქმედებათა გასაბათილებლადაო. საქმის განხილვა ცოტა ხანს შეაჩერეს. საქმის განხილვის დაწყებისათანავე ხელ-ახლად გამოიხმეს პელიე. ლაბორიმ სთქვა, რომ ჩვენ ნაფიც ექსპერტების ჩვენების ჩამორთმევის წინააღმდეგი-კი არ ვიყავით, არამედ თვით ექსპერტებმა განაცხადეს, ამ საქმის შესახებ არაფერს ვიტყვითო. ლაბორიმ უსაყვედურა პელიეს იმ სიტყვების გამო, რომელიც მან მოსამართლეთ უთხრა, რომ ვითომ მალე ომი იქმნებაო. „ჩვენ, — დაუმატა ლაბორიმ, — არა გვჯერა, რომ ომი იყოს და თუ იქმნება, ისეთი ჯარის-კაცები გვყავს, რომ არ გვეშინიანო (ტაშის ცემაა). მაგრამ რათა ჩვენ დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ აფიცრებს შეუძლიანთ ღირსეულად გაუძღვნენ ჯარს!.. (თავმჯდომარე აწყვეტინებს). პელიემ განაცხადა, რომ „Matin“-ში დაბეჭდილი ფაქსიმილე უფრო ძალიანა ჰგავს ბორდეროსაო. მეიერმა სთქვა, რომ ნაფიცი ექსპერტები სრულიადაც არ არიან სხვებზედ უკეთესებიო. მაიერმა სთხოვა პელიეს ფოტოგრაფიით გადაღებული ბორდერო მაჩვენეთ და პირობას გაძლევთ, რომ სინიდისიერად განვიხილავ და გამოვიკვლევო. პელიემ მიუგო, რომ ეგ შეუძლებელია, იმიტომ რომ საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნა გარჩეულიო. ლაბორიმ სთქვა: „ყველამ რომ მოვიწადინოთ, მალე მოვრიგდებოდით და ხელი-ხელს გადახვეული გავიდოდით აქედგან, ყველამ რომ ბორდერო ვნახოთ, საქმე თავის-და-თავად მოისპობა“. (ხმაურობაა). პელიემ განაცხადა, რომ არა მსურს ექსპერტების შესახებ ლაპარაკი, რადგანაც ამ საქმის მცოდნე არა ვარ; ვიტყვი მხოლოდ, რომ ექსპერტებმა დაარწმუნეს სამხედრო სასამართლო, ბორდერო ესტერგაზის არ დაუწერიაო. ექსპერტმა კასავრმა განაცხადა მაიერის შესახებ, რომ თუმცა დიდად პატივსა ვცემ ecole des chartes დირექტორს, მაინც ვალდებულადა ვრაცხ ჩემ თავს ვთქვა, რომ ხელთნაწერის გამოკვლევის საქმეში მაიერს იმდენი ესმის, რამდენიც ქუჩის ბიჭებსაო. ლაბორიმ უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ არ უნდათ სასამართლოს ბორდეროს არგინალი წარუდგინონ და იკითხა, ერთი და იგივე ბორდერო გასინჯეს ექსპერტებმა 1894 წელს და 1897 წელს, თუ სხვა-და-სხვაო. კაიერი ეუბნება, რომ ერთი და იგივეო. ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორმა მარიომ სთქვა, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილიაო. მარიოს უნდა ექსპერტიზა მოახდინოს შავს ფიცარზედ, მაგრამ თავმჯდომარე ამის ნებას არ აძლევს მარიოს. დასასრულ მარიომ სთქვა: „არ ვიცი, არის თუ არა ბორდეროს დედანი, მაგრამ „Matin“-ში დაწერილი პირი ბორდეროსი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ბორდერო ესტერგაზის მიერ არის დაწერილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულის წლის 29 დეკემბერს „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართა აქ სამუსიკო და საცეკვაო საღამო. ბილეთების გასყიდვით შემოვიდა 185 მ. 20 კ., ბუფეტისაგან 100 მ.; ბანქოს თამაშისაგან-20 მან.; სხვა და სხვა შემოსავალი-9 ს. 74 კაპ. გარდა ამისა, მივიღეთ შემოწირულება აბასთუმნიდგან 50 მან., ფეიზულ-ბეგ ათაბეგოვისაგან 20 მან., ე. ა. და ბ. დ. გაბაშვილებისაგან 10 მან., თავ. გ. ა. თარხნიშვილისაგან 5 მან., და ა. ი. ქანანოვისაგან 3 მანეთი. სულ შესდგა 402 მან. 94 კაპ. დაიხარჯა: მარკებისათვის 15 მან.; როიალის ქირა 10 მანეთი; მეზურნეებს—5 მან.; მებუფეტეს, ლაქიებს, დედაკაცს, ბანქო და საუზმე მემუსიკეებს—44 მ. 63 კ.; მუშებს როიალისა და სკამების მოტანისა, დეპეშა და სხვა ხარჯი—18 მ. 31 კაპ.; სულ დაიხარჯა—92 მ. 94 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 310 მან.

„ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების“ გამგე კომიტეტი თავის სასიამოვნო მოვალეობადა ჰრაცხს გულ-წრფელი მადლობა გამოუცხადოს დასახელებულ შემომწირველთა და ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო და ხელი შეუწყო საღამოს გამართვაში, სახელდობ: ქ-ნთ ე. გ. შლეისნერს, მ. ნ. ტერ-ოსეფოვისას, ს. ს. კიშინსკაიას, ე. ა. გაბაშვილისას, კნეინა მ. ლ. მაქსიმელიშვილისას, ნ. ი. თომაშევიჩისას, ე. ა. მანსურაძევისას, ბ.ბ.: ნ. ი. შიუკაშვილს, ი. ვ. ცირულნიკოვს, ა. ვ. კაჩერგინს, პოლკის უფროსს, პოლკოვნიკს ვ. ი. რილსკის სამხედრო მუსიკის მუქთად დათმობისათვის და საქალაქო კლუბის მამასახლისთა საბჭოს კლუბის დარბაზის მუქთად დათმობისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე მარია გამრეკელისა

## „ივერიის“ ფოსტა

**დ. ოსი. კ. წულუკიძეს.** თქვენ წერილში სჩივით, რომ კანონს, რომლის ძალითაც ჩვენში მომრიგებელ-მოსამართლეს შეუძლიან საჩივარი უძრავ ქონების შესახებ განიხილოს, თუ ფასი ამ ქონებისა ორი ათასს მანეთს არ აღემატებაო, — სარგებლობა არ მოაქვს, რადგანაც მას წინ უდგას მეორე კანონი, რომლის ძალითაც უძრავ ქონების შესახებ საჩივრის ფასად ის ითვლება, რასაც ესა თუ ის მომჩივანი დაასახელებს. სადავო ადგილი, რომ ას მან. გქონდეთ დაფასებული, მოპასუხე ჰსარგებლობს ამ კანონით, ადგილს სამი ათასს მანეთად აფასებს და მოსამართლე, რაკი სადავო საგნის ფასი დაწესებულს 2,000 მან. აღემატება, სპობს საქმეს და იძულებული ხარ ოლქის სასამართლოში დაიწყო დავა და დიდ-ძალი ფული მოანდომო. აი, ამაზედ არის აშენებული თქვენი წერილი.

საჭიროდ ვთვლით განგიმარტოთ ეს საგანი. მომრიგებელ-მოსამართლეს თქვენ მიერ დასახელებულს შემთხვევაში კანონით ნება არა აქვს მოსპოს საქმე, თუნდა მოპასუხემ ხუთ მანათიანი ადგილი ათი ათასს მანეთადაც დააფასოს. აგრე რომ იყოს, მაშინ ხომ არც ერთი სამამულო საქმე აღარ გაირჩეოდა მომრიგებელ სასამართლოში. მართალია, კანონი იმის შიშით, რომ თვით მომჩივანმა, დავის აღმძვრელმა მეტად არ შეამციროს სადავო ქონების ფასიო, ნებას აძლევს მოპასუხეს სხვა ფასი დასდოს ამ მამულს, მაგრამ ამ მხრივ მოპასუხის თვითნებობის ასალაგმავადაც არსებობს „სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდებაში“ მე-56 მუხ., რომლის ძალითაც „თუ საჩივრის აღმძვრელ მომჩივანის მიერ სადავო ქონების დარქმეულ ფასის წინააღმდეგ დავა აღიძრა, ამ ქონების ღირებულობა უნდა გამოირკვეს მცოდნე კაცთა შემწეობით მომრიგებელ-მოსამართლის მიერ დანიშნულს ვადაზედ“. ამ გვარად, თუ მოპასუხემგანგებ დიდი ფასი დასდო სადაო მამულს, მოსამართლემ-კი არ უნდა მოსპოს საქმე, მცოდნე კაცთა შემწეობით უნდა გამოარკვიოს ამ მამულის ფასი და თუ მოპასუხის სიტყვა მართალი აღმოჩნდა და მამული 2,000 მან. მეტი ჰღირს, მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოსპობა საქმისა.


# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)

## ალექსანდრე მაჭუტაძის საწყობში

ცხენის რკინის-გზის პარკის პირდაპირ ისყიდება რცხილის შეშა საჟენი 28 მანეთად. (2—27—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |